ნათია ბენდელიანი
მაგისტრანტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

სასკოლო განათლების მნიშვნელობა კარიერის არჩევის დროს

თეზისები: ზოგადი განათლების ბოლო საფეხურზე მოსწავლეები ცდილობენ, მიიღონ გადაწყვეტილება მომავალი პროფესის, კაერიერული გზის შესახებ. ეს პროცესი ძალიან დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მითუმეტეს მაშინ, თუ სასკოლო განათლება და ზოგადად, სწავლების სისტემა, არ უწყობს ხელს მოსწავლეს, გაერკვეს სამომავლო მიზნებში. სკოლის სხვადასვხა ეტაპზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს მიეწოდოთ რესურსი, რომელიც თვითშემეცნების პროცესში ჩართავს მათ, რათა აღმოაჩინონ საკუთარი ინტერესები და უნარები. ასევე მნიშვნელოვანია, მოსწავლეები აღჭურვონ გადაწყვეტილების მიღების უნარებით. კვლევებმა ცხადყო, რომ ფორმალურ განათლებასთან ერთად, მოსწვალეები უნდა იყვნენ უზურუნველყოფილი არაფორმალური განათლების უპირატესობებით: სტაჟირებები სხვადასხვა დაწესებულებაში, სამუშაო პრაქტიკები, მოხალისეობრივი პოგრამები და ა.შ. ეს ზრიდს მათ თვითეფექტიანობის განცდას და ისინი მომავალ პროფესიას მზად ხვდებიან. წინამდებარე სტატიაში ასევე გამოვლენილ იქნება, რა ტიპის მხარდაჭერა სჭირდებათ სკოლის მოსწავლეებს, რომ მიიღონ ინფორმირებული კარიერული არჩევანი და რა წინააღმდეგობებს აწყდებიან ისინი გარდამავალ პერიოდში. სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე ასევე განხილული იქნება სკოლის მრჩევლის, როგორც ინსტიტუციის არსებობის მნიშვნელობა კარიერის არჩევის დროს.

საკვანძო სიტყვები: სკოლის განათლება, კარიერული არჩევანი, კარიერული მრჩეველი, სკოლის როლი, პროფესიის არჩევა

Abstract: At the last stage of secondary (basic) education, pupils try to make a decision about future professors. This process is

associated with great difficulties, especially if the school education system does not support the learners to figure out their future goals. Student career choice is a multistage formative process that relies on personal characteristics and resources as well as educational experience. At different levels of school, it is important for pupils to provide resources that involve them in self-awareness in order to discover their own interests and skills. It is also important to equip students with decision-making skills. Studies have shown that, along with formal education, students should be able to ensure the benefits of non-formal education, like internships in different institutions, work practices, volunteer programs, etc. The higher the students' beliefs in their efficacy, more strongly they make decisions about their career path. The paper will also reveal what type of support the school students need to get the informed career choices, and what obstacles they are facing in the transition period. Accordingly, we discuss the importance of school counselor on the basis of the experience of different counties.

Keywords: School education, career education, career counselor, choosing profession

მოსწავლეები პროფესიის არჩევის დროს აწყდებიან სხვადასხვა პრობლემას, რაც გადაწყვეტილების მიღების შინაგანი და გარეგანი ფაქტორებით არის გამოწვეული. სკოლის საფეხურის სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს მიეწოდოთ რესურსი, რომელიც თვითშემეცნების პროცესში ჩართავს მათ, რათა აღმოაჩინონ საკუთარი ინტერესები და უნარები. ასევე მნიშვნელოვანია, მოსწავლეები აღჭურვონ გადაწყვეტილების მიღების უნარებით. კვლევებმა ცხადყო, რომ ფორმალურ განათლებასთან ერთად, მოსწვალეები უზურუნველყოფილი უნდა იყვნენ არაფორმალური განათლების უპირატესობებით: სტაჟირებებით სხვადასხვა დაწესებულებაში, სამუშაო პრაქტიკებით, მოხალისეობრივი პოგრამებით და ა.შ. ეს ზრდის მათ თვითეფექტიანობის განცდას და ისინი მომავალ პროფესიას მზად ხვდებიან. წარმოდგენილ ნაშრომში ასევე გამოვლენილ იქნება, თუ რა ტიპის მხარდაჭერა სჭირდებათ სკოლის მოსწავლეებს, რომ გააკეთონ ინფორმირებული კარიერული არჩევანი და რა წინააღმდეგობებს აწყდებიან ისინი გარდამავალ პერიოდში. სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე ასევე განხილული იქნება სკოლის მრჩევლის, როგორც ინსტიტუციის არსებობის მნიშვნელობა კარიერის არჩევის

დროს. გარდა ამისა, ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა ქართული შრომის ბაზრის მიმოხილვას და ქართველი სტუდენტების გამოწვევებს კულტურული თუ ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

ზოგადი განათლების ბოლო საფეხურზე მოსწავლეები ცდილობენ მიიღონ გადაწყვეტილება თავიანთი მომავალი პროფესიის, კარიერული გზის შესახებ. ეს პროცესი ძალიან დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასკოლო განათლება და ზოგადად, სწავლების სისტემა, არ უწყობს მოსწავლეს ხელს, გაერკვეს სამომავლო მიზნებში. გალაპი (Gallup), მსოფლიო ანალიტიკური კომპანია, რომელიც ეხმარება ორგანიზაციებს მუშახელის დაქირავების პროცესში, აქვეყნებს მონაცემებს, საიდანაც ვიგებთ, რომ დასაქმებული ადამიანების 87% არ არის თავის სამსახურში ბოლომდე ჩაფლული, ხოლო ისინი, ვინც დაინტერესებული არიან, მათ მიერ შესრულებული სამუშაო 147%-ით აღემატება სხვების მიერ შესრულებულს. არსებობს უამრავი გარეგანი ფაქტორი, რითაც შესაძლოა იყოს გამოწვეული თანამშრომლების უკმაყოფილება, მაგრამ მონაცემები ცხადყოფენ, რომ შინაგან ფაქტორებს, კონკრეტულად კი, ინტერესის სფეროს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასევე კვლევები აჩვენებს, რომ სამუშაო ძალის უმრავლესობა უფრო დიდ სიამოვნებას იღებს ჰობისგან და სხვა გასართობი აქტივობებისგან, ვიდრე იმ საქმისგან, რასაც სამსახურში აკეთებს (Heldrich et al., *Talent Report: What workers want in 2012*). პროფესის არჩევა, იმის გაანალიზება, თუ რომელ სფეროში შეუძლია ადამიანს საკუთარი თავის და შესაძლებლობების პოვნა, ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესია, თუმცა უდავოა, რომ რაც უფრო ადრე იწყება ეს პროცესი, მით უფრო მარტივია გზების პოვნა.

კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში ახალგაზრდების უმეტესობა იღებს უმაღლეს განათლებას, ეუფლება პროფესიას და შემდეგ ბაზარი მას ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახურით. ბაზრის გამოწვევების პარალელურად, უნარების შეუთავსებლობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება, მივიჩნიოთ ის, რომ არ ხდება მათი ინტერესების თანხვედრა იმ პროფესიასთან, რომელიც აირჩიეს (*საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი*). აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს იმის გარკვევას, თუ რა გარეგანი და შინაგანი ფაქტორები ქმნიან სირთულეებს პროფესის არჩევის დროს ზოგადად და კონკრეტულად ქართულ საზოგადოებაში. ასევე იმის გაცნობიერება, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა არის კარიერული განათლების მთავარი მიზანი და მიღწევა.

ძალიან ბევრი თეორიული მოდელი ცდილობს, ახსნას კარიერული განვითრების და გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ერთ-ერთია კარიერის სოციალურ-კოგნიტური თეორია (SCCT). ამ თეორიის

მიხედვით, კარიერული გადაწყვეტილების მიღება სამი სოციალურ-კოგნიტური პროცესით განისაზღვრება: თვითეფექტიანობის განცდა, შედეგების შესახებ მოლოდინები, კარიერული მიზნების დასახვა, რომლებიც დაკავშირებულია კულტურასთან, გენდერთან, სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან, სოციალურ მხარდაჭერასთან და სხვა ბარიერებთან, რომლებიც ადამიანის საგანმანთლებლო და კარიერული ტრაექტორიის ფორმირებას ახდენს (Lent et al., *Contextual Supports and Barriers to Career Choice*).

ხშირ შემთხვევაში მოსწავლეები პროფესის არჩევის დროს გამორიცხავენ პოტენციურად ღირებულ და დასაფასებელ პროფესიულ საქმიანობებს მცდარი თვითშეფასების, შედეგების მოლოდინის ან ერთად, ორივეს გამო. საქმე იმაშია, რომ მათ არ აქვთ საკუთარი პროფესიული კომპეტენციებისა და მოსალოდნელი შედეგების ადექვატური წარმოდგენა. SCCT თეორია გვთავაზობს იდეას იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი თვითეფექტურობა გახდეს შესაძლებლობების ობიექტური ინდიკატორი, ამასთანავე, თუ როგორ მოახდინოს მოსწავლის მიერ საკუთარი ინტერესების პროფესიულ არჩევანში რეალიზება. ამ თეორიაზე დაფუძნებული უამრავი კვლევის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის სტუდენტები (მოსწავლეები), რომლებსაც აქვთ მაღალი თვითეფექტიანობის და თავდაჯერებულობის განცდა, რომ შედეგი აუცილებლად იქნება წარმატებული, უფრო მაღალ მიზნებს და ამოცანებს ისახავენ და შესაბამისად, თავიანთი უნარების უფრო ეფექტურად ორგანიზებას ახდენენ. გამომდინარე იქიდან, რომ SCCT თეორია ბანდურას სოციალურ-კოგნიტური თეორიიდან იღებს საფუძვლებს, შეუძლებელია, არ შევეხოთ მასთან თვითეფექტიანობის მიღწევის წყაროებს, რომლებსაც ადამიანები იყენებენ მაშინ, როდესაც საკუთარი ეფექტურობიდან/არაეფექტურობიდან გამომდინარე იღებენ გადაწყვეტილებებს. პირველი წყაროა უნარიანობის განცდა და გამოცდილება. მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ტრანზიტულ პერიოდში ჰქონდეს ბევრი შესაძლებლობა, რომ გამოსცადოს თავი, გადალახოს ბევრი დაბრკოლება, რათა რაღაც საქმეში წარმატებამ ეფექტურობის განცდა განაპირობოს. მეორე არის სოცილაური მოდელირება, რაც გულისხმობს სხვებზე დაკვირვებით ადამიანში მოტივაციის გაზრდას, რომ თავად შეუძლია მიზნის მიღწევა. მესამე, დარწმუნება. შეიძლება ითქვას, რომ სასკოლო პერიოდში მოსწავლეებს სჭირდებათ თავდაჯერებულობის განმტკიცება, რათა საკუთარ კომპეტენტურობასა და ეფექტურობაში ეჭვი არ შეიტანონ. მეოთხე, ემოციური აღგზნების მონიტორინგი კი იმის გააზრებას გვთავაზობს, რომ თუ საქმის კეთება განიჭებს ბედნიერების განცდას, შფოთვას, ღელვას, ეს არის საკუთარი თავის შეცნობის პროცესი.

იმის გააზრებასთან ერთად, თუ რა ფსიქოლოგიური პროცესები განსაზღვრავს პროფესის არჩევას, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, კონკრეტული ქვეყნის მაგალითზე, რა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ქმნიან დაბრკოლებებს, რათა განსაზღვრულ იქნას კარიერული განათლების საჭიროება.

მსოფლიო ბანკი აქვეყნებს ანგარიშს *შრომის ბაზრის გამოწვევები და უნარების შეუთავსებლობა საქართველოში*, სადაც ხაზგასმულია ის პრობლემები, რასაც საქართველოში ახალგაზრდები აწყდებიან სწავლის დასრულების შემდეგ. ერთ-ერთი არის ის, რომ შრომის ბაზარზე არ არის მოთხოვნა მათ მიერ დაუფლებულ პროფესიებზე და მეორე, მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. შედეგად, გადავწყვიტე, გავცნობოდი შრომის ბაზრის ანალიზის უახლოეს მონაცემებს. უმუშევრობის დონის განხილვა ასაკობრივ ჭრილში გვიჩვენებს, რომ 2017 წელს უმუშევრობის დონემ ყველაზე მაღალი ნიშნული 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში შეადგინა (29.6). უმუშევრობის დონე ასევე მაღალია 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდებში და 2016-2017 წლების მონაცემებით შესაბამისად – 34.7% და 27.1%-ს შეადგენს.

სოციალური ცენტრის მიერ 2017 წელს გამოქვეყნებულ წიგნში *განათლების ამონაგები, დასაქმების ბაზარი და შრომითი კმაყოფილება საქართველოში* (ამაშუკელი et al.). ვკითხულობთ, რომ საქართველოში დაბალპროდუქტიულ შრომის ბაზარს განაპირობებს ე.წ. „ცოდნის გაუფასურება“ (ვერტიკალური შეუსაბამობა), დისბალანსი თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნად საქმიანობასა და იმ პროფესიებს შორის, რომლებსაც დღეს ახალგაზრდები მასობრივად ეუფლებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. გარდა ამისა, სახეზეა განათლებასა და დასაქმებას შორის ჰორიზონტალური დისბალანსი, რაც აიხსნება იმით, დასაქმებულია თუ არა პირი მის მიერ არჩეული პროფესიით. შესაბამისად, მათი უმრავლესობა ან დაბალპროდუქტიულ სამუშაო ადგილს ჯერდება (ვერტიკალური შეუსაბამობა) ან გრძელვადიანი უმუშევრობის მდგომარეობაში გადადის. ეროვნული სამსახურის 2016 წლის მონაცემების მიხედვით, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უნივერსიტეტების ბაკალავრიატის საფეხურის კურსდამთავრებულთა შორის უმრავლესობა სოციალური მეცნიერებების, ბიზნესის და სამართლის კურსდამთავრებულია. თანამედორვე შრომის ბაზარზე უფრო დიდი მოთხოვნა და შესაბამისად, ვაკანტური პოზიციების სიმრავლე მომსახურებისა და გაყიდვების, ასევე ინდივიდუალური მომსახურების მიმართულებით ვლინდება. ხოლო კურსდამთავრებულთა რაოდენობა ყველაზე დიდია ისეთ საგანმანათლებლო პროგრამებში, რომელიც მომავალში მაღალი რანგის

პროფესიონალებად დასაქმებას უფრო გულისხმობს, ვიდრეს ვაჭრობის, გაყიდვების და მომახურების სფეროში მუშაობის დაწყებას (*Ibid.*).

ეს სტატისტიკა და ანალიზი მეტყველებს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, არსებობდეს კავშირი სკოლასა და უნივერსიტეტს, უნივერსიტეტსა და სამუშაო ბაზარს შორის იმისთვის, რომ მოსწავლემ მიიღოს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. სამწუხაროდ, არ არსებობს ოფიციალური კვლევა იმასთან დაკავშირებით, აქვთ თუ არა მოსწავლეებს ინფორმაცია კარიერულ შესაძლებლობებზე და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართულ სკოლებში არ არსებობს კარიერული განათლების საათები და არც კარიერული მრჩეველის ინსტიტუტი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათი უმრავლესობა ინფორმაციის დეფიციტს განიცდის.

რაც შეეხება ქართულ სკოლებში არსებულ მდგომარეობას კარიერული საათების განაწილების თვალსაზრისით, ოფიციალური მონაცემებით, პროფესიული ორიენტაციის მომსახურება მიეწოდება 500 სკოლას, ამ სკოლებში პროფესიული ორიენტაციის გაკვეთლები თვეში ერთხელ ხორციელდება მე-9 კლასის (8 გაკვეთილი ერთი აკადემიური წლის განმავლობაში) და მე-11 კლასის მოსწავლეებთან (4 გაკვეთილი ერთი აკადემიური წლის განმავლობაში). ამ ინფორმაციის ამოკითხვა შესაძლებელია *კარიერის დაგეგმვის სახელმძღვანელოში*, რომელიც მომზადდა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ექსპერტ ფოსუნ აკოკის მიერ. ამავე სახელმძღვანელოში განხილულია იმ ქვეყნების კარგი მაგალითი, სადაც კარიერული დაგეგმარება განათლების სამინისტროსთვის, თუ სკოლის სექტორისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. შედარებისთვის, გერმანიის ყველა ფედერალურ შტატში დიდი ხანია ისწავლება „სისტემური პროფესიული მზადება და ორიენტაცია“, როგორც სპეციალური საგანი, რომელსაც სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ (მაგ. „გაკვეთილი სამუშაოს შესახებ“ ან „სამუშაო და ეკონომიკა-ტექონოლოგიები“) ან ის სხვა საგნებშია შერწყმული. რაც შეეხება ფინეთის პროგრამებს, ფინეთში, ზოგადი განათლების I-VI კლასებში სასკოლო კონსულტაციები ინტეგრირებულია საგნებთან. VII – IX კლასებში მოსწავლეებს 95 საათი აქვთ ორიენტაციისა და კონსულტაციისთვის, რომლებიც ნებისმიერ სხვა საგნებთან ერთად ცხრილშია გაწერილი. მაღალ კლასებში 38 საათიანი სავალდებულო და ერთი არჩევითი 38 საათიანი სპეციალიზაციის კურსი დაგეგმარებაში. როგორც აღნიშნული წიგნის ავტორი გადმოგვცემს,

> ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში და დინამიური შრომის ბაზარზე დგას ამბიცია, რომ ახალგაზრდებმა უნდა დაძლიონ

> საგანმანათლებლო და კარიერული არჩევანი ადრეულ ეტაპზევე. ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე, რჩევებსა და კონსულტაციებზე იმისთვის, რომ მათ შეძლონ, მიიღონ დამოუკიდებელი არჩევანი კარიერასთან დაკავშირებით. (46)

კარპენტერი და ფოსტერი, რომლებიც მხარს უჭერენ კარიერის სოციალურ კოგნიტურ თეორიას, ამბობენ, რომ ყველა ფაქტორი, რომელიც კარიერულ გადაწყვეტილებაზე მოქმედებს, შინაგანი, გარეგანი და ინტერპერსონალური გავლენის წყაროებიდან მოდის. შინგანი ფაქტორები დაკავშირებულია გადაწყვეტილებებთან, რომლებიც მიიღება საკუთარი მე-დან და იმ მოქმედებებიდან, რომლებიც სტიმულირებულია ადამიანის ინტერესების, სიამოვნების, ცნობისმოყვარეობის განცდებით. გარეგან ფაქტორები ეხება გარეგან რეგულაციებსა და იმ სარგებელს, რომელიც მოაქვს კონკრეტულ სამსახურს (პრესტიჟული თანამდებობა, მაღალი შემოსავალი, სამსახურეობრივი უსაფრთოხება, სამსახურთან წვდომა და ა.შ.). ინტერპერსონალურ ფაქტორებს რაც შეეხება, ის მოიცავს აქტივობებს, რომლებიც მართულია ოჯახის წევრების, მასწავლებლების ან მეგობრების გავლენით (in Akosah-Twumasi et al.).

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს საზოგადოებაში კულტურა მნიშვნელოვანი ცვლადია, გვერდს ვერ ავუვლით იმის განხილვას, თუ რა გამოწვევის წინაშე დგანან მოსწავლეები გადაწყვეტილების მიღების დროს. კვლევებმა აჩვენა, რომ კულტურას, როგორც ცვლადს, აქვს მნიშვნელოვანი გავლენა კარიერულ არჩევანზე. სოციალური ფსიქოლოგიის ექპერტი ჰოფშტედი გამოყოფს ოთხ კულტურულ განზომილებას. ერთ-ერთი მთავარი განზომილების (ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმი) მიხედვით, გადაწყვეტილების მიღება ინდივიდუალისტურ საზოგადოებაში განისაზღვრება ინდივიდის ინტერესებით, სურვილებით, როცა კოლექტიურ საზოგადოებაში გადაწყვეტილება მიიღება ჯგუფში, როგორიცაა ოჯახი, მეგობრები თუ სხვა სოციალურ წრეებში და სარგებელს იღებს ჯგუფი (Hofstede in Agodzo, *Six Approaches to Understanding National Cultures*).

მკვლევრები გვთავაზობენ იმ ფაქტორების სისტემურ ანალიზს, რომლებიც გავლენას ახდენენ კარიერულ არჩევანზე, კულტურის კონტექსტის გათვალისწინებით. კვლევები, რომლებიც ჩატარადა კანადაში, ფინეთში, გერმანიაში, ესპანეთში, შვეიცარიასა და აშშ-ში, აჩვენებენ ინდივიდუალიზმის მაღალ დონეს, რაც ხაზს უსვამს შინაგან მოტივაციას კარიერის არჩევის დროს. ახალგაზრდები ინდივიდუალისტურ საზოგადოებაში ისეთი შინაგანი ფაქტორების გავლენის ქვეშ ექცევიან, როგორებიცაა პიროვნული ინტერესი, პიროვნული მახასიათებლები, თვითეფექტურობა, ხოლო გარეგანი

და ინტერეპერსონალური ფაქტორები მეორე ადგილზე ინაცვლებს. ამის საპირისპიროდ, კვლევები, რომლებიც ჩატარდა არგენტინაში, ბულგარეთში, ხორვატიაში, ინდოეთში, ინდონეზიაში, იაპონიაში, უკრაიანასა და სხვა ქვეყნებში, აჩვენებს კოლექტივიზმის მაღალი დონეს. ახალგაზრდები კოლექტივისტურ კულტურებში ძირითადად ინტერპერსონალური ფაქტორების გავლენით იღებენ პროფესიულ გადაწყვეტილებას, მაგალითად მშობლების კარიერული გზის გაგრძელება, სოციალური მოლოდინების გათვალისწინება და ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა პრესიტიჟულ პროფესიას (Akosah-Twumasi, et.al., *op. cit.*).

პროფესის არჩევის დროს გავლენის სფეროებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ტენდენციურად თუ შევხედავთ, ბევრი რამ შეიცვალა. ძალიან ადრე ოჯახის როლი იყო გადამწყვეტი, შემდგომ პერიოდში უპირატესობა ფინანსურ სარგებლობას ენიჭებოდა, მოსწავლეები ირჩევდნენ იმ პროფესიას, რომელშიც მეტი პერსპექტივა და სარგებელია. ბოლო ათწლეულებში კი ინტერესების სფეროს აქცევენ დიდ ყურადღებას. ჩვენს რეალობაში არ არსებობს კვლევა, რომელიც გამოავლენს ზუსტ სტატისტიკურ ანალიზს, თუ რა მდგომარეობაა დღესდღეისობით საქართველოში. სწორედ ამიტომ ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, გამეგო, რას ფიქრობენ მოსწავლეები ამ მიმართულებით. მაგისტრატურის კურსზე, რომელიც მოიცავდა პრაქტიკას სკოლაში, ჩავატარე თვისებრივი კვლევა. ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ მე-9, მე-11 კლასის მოსწავლეები. კვლევაში მონაწილე ყველა მათგანი თანხმდება იმაზე, რომ პროფესიის არჩევის დროს ადამიანი დამოუკიდებლად უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას და რომ პირადი ინტერესები ამ დროს გარდამტეხია, მაგრამ როცა ვთხოვე, შეეფასებინათ ზოგადი სურათი, მათი რეალობიდან გამომდინარე აღმოჩნდა, რომ ისინი მშობლის როლს ძალიან მნიშვნელოვნად აფასებენ.

> მე მგონი, რომ ადამიანი თვითონ უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას, მაგრამ რჩევებს უნდა აძლევდნენ ოჯახის წვერები, სანათესაო. მაგალითად, ერთი წლის წინ საერთოდ არ ვიცოდი, რა უნდა ამერჩია და მე და მამაჩემი რომ ვსაუბრობდით, რაღაც პროფესიები შემომთავაზა და მომეწონა ერთ-ერთი და იქიდან ავარჩიე. რჩევა უნდა იყოს, მაგრამ გადაწყვეტილება არ უნდა იყოს მიღებული ოჯახის წევრების მიერ. (ლევანი)

ელენე: „ოჯახის გავლენა ძალიან დიდია, როცა ოჯახი რაღაცაზე მხარს გიჭერს, იქით უფრო წახვალ, აი, ჩვენს ასაკში რომ დააფიქსირო, რომ კულინარობა გინდა და გითხრან არაო, თუნდაც არგუმენტები ჰქონდეს, ეს აზრი ითრგუნება, და იმათ აზრისკენ მიდიხარ“[1].

1. სტილი დაცულია.

ასევე, ისინი ხაზს უსვამენ სკოლის როლს, მეგობრების გავლენას პროფესის არჩევის დროს და ზოგადად თვლიან რომ გარემო პირობები, როგორიცაა ფინანსები, პერსპექტივები ის მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ფაქტორებია, რაზე დაყრდობითაც ადამიანები მათ გარშემო პროფესიებს ირჩევენ.

წარმოვიდგინოთ, გიორგი ცხოვრობს საქართველოში, ტომასი გერმანიაში. ორივე დაახლოებით 16-17 წლისა, ორივე ოჯახს აქვს უნივერსიტეტში სწავლის ფინანსური შესაძლებლობა. მათ უნდა გადაწყვიტონ, რა პროფესიას აირჩევენ. როგორ ფიქრობთ, იქნება თუ არა გადაწყვეტილების მიღების პროცესი მსგავსი? თუ გიორგი არ დაელაპარაკება მშობლებს თავისი პრობლემების შესახებ და შემდეგ მამას ეტყვის, რომ მას უნდა არქეოლოგიის სწავლა, მამას ძალიან გაუკვირდება, შესაძლოა, გაბრაზდეს და ეცდება, გადაწყვეტილება შეაცვლევინოს. მაშინ როცა ტომასი, თუ იგივე რამეს იზამს, მისი მშობლები ამას საერთოდ არ ჩათვლიან უცნაურ ქცევად. ამით იმის თქმა მინდა, რომ კულტურა, ღირებულებები, გამოცდილება, ოჯახის ზომა, სოციალური სტატუსი, ურთიერთობები ხშირად ბარიერებს ქმნის და გადაწყვეტილების მიღების სტრატეგიას განსაზღვრავს.

ავსტრალიის განათლების კვლევის საზოგადოების მიერ ჩატარებულ კვლევაში სკოლის მოსწავლეები (ასაკი 9-12), რომლებიც ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობდნენ, ორ კატეგორიად დაიყო: ერთი ისინი, ვისაც მტკიცე კარიერული გადაწყვეტილება ჰქონდა უკვე მიღებული და ისინი, ვისაც არ ჰქონდა. კვლევის მთავარი მიზანი იყო იმის გამოვლენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გამოცდილება, რომელშიც იგულისხმება სკოლის სექტორი, ტიპი, კარიერული განათლება, სკოლისადმი დამოკიდებულება და სხვა. გამოვლინდა, რომ იმ მოსწვალეების უმრავლესობას, რომელიც მზად იყო კარიერის ასარჩევად, ხშირი შეხვედრები ჰქონდა სკოლის მრჩეველთან (2.12-ჯერ უფრო მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა იმათთან შედარებით, რომლებსაც არ ჰქონდათ შეხვედრები კარიერულ მრჩეველთან), ასევე ესწრებოდნენ კარიერული განათლების გაკვეთილებს, უნივერსიტეტების ღია კარის დღეებს და ა.შ. (2,54-ჯერ მაღალი), ასევე ისინი აღნიშნავდნენ, რომ მათ მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული სკოლის მიერ ორგანიზებულ სამუშაო გამოცდილების აქტივობებში (2.40-ჯერ მაღალი).

საბოლოო ჯამში, ყველა სხვა ცვლადის გათვალისწინებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში მიღებული გამოცდილება გავლენას ახდენს კარიერული არჩევანის გაკეთების მიმართულებაზე. როგორც კვლევიდან ჩანს, სკოლის მიერ ორგანიზებული სამუშაო გამოცდილება ხელს უწყობს მოსწავლეს, აღიქვას, გაანალიზოს, რა არის მიღწევადი, შეუძლია თუ არა მას კონკრეტული სპეციალიზაციის დაუფლება და ა.შ.

კვლევის ავტორები ასკვნიან, რომ კარიერული განათლების სესიების ნაკლებობა მოსწავლეებს უქმნის სირთულეებს, აირჩიონ ის საგნები, რომლებიც მათ საჭიროებებს აკმაყოფილებს და ბმა ექნება მომავალ პროფესიასთან. აღმოჩნდა, რომ იმ მოსწავლეების უმრავლესობას, რომელიც არ არის დარწმუნებული კარიერულ არჩევანში, არ აქვს საყვრელი საგანი (უმრავლესობა საყვარელ საგნად სპორტს ასახელებს) და საგნებს სხვისი რეკომენდაციით ირჩევენ. შესაბამისად, აკადემიური მოსწრების მიხედვითაც ჩამორჩებიან სხვებს (Galliott, Graham, *School based experiences as contributors to career decision-making*).

აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვნია იმდენად, რამდენადაც ის ინფორმაციის კოგნიტური გადამუშავების (cognitive information processing) თეორიის მთავარი ელემენტების მნიშვნელობას ცხადყოფს. თეორია ეხება იმ პრაქტიკას, რაც შესაძლოა, სკოლის მრჩეველმა განახორციელოს იმისთვის, რომ მოსწავლეები უზრუნველყოს იმ უნარებით და განათლებით, რომლებიც აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Dozier et al., *Applying Cognitive Information Processing Theory to Career Problem Solvine&Decision Making*). ინფორმაციის კოგნიტური გადამუშავების თეორია იღებს პირამიდის ფორმას, რომლის ფუნდამენტად თვითშემეცნება და პროფესიული ცოდნა განიხილება. თვითშემეცნება გულისხმობს საკუთარი თავის, ინტერესების, საჭიროებების, ძლიერი და სუსტი მხარეების ცოდნას. ოკუპაციური, ანუ პროფესიული ცოდნა კი მოიცავს სამუშაო ბაზრის და იმ მოთხოვნების ცოდნას, რასაც კონკრეტული პროფესია საჭიროებს. პირამიდის მეორე დონეზე კი გადაწყვეტილების მიღების უნარი განიხილება, რომელიც უმნიშვნელოვანესი რგოლია საბოლოო ფაზამდე. გადაწყვეტილების მიღების უნარების სწავლა მოსწავლეს აძლევს საშუალებას, კარიერაში შეცვალოს ბევრი რამ, გააფართოვოს და დაავიწროვოს საკუთარი შესაძლებლობები და თავისი არჩევანი განახორციელოს. მესამე და საბოლოო ფაზა მეტაცოდნაა, რაც საკუთარ თავთან კომუნიკაციას, ასევე მუდმივ მონიტორინგს და კონტაქტს გულისხმობს. თუ მოსწავლემ არ მიიღო საკმარისი ცოდნა შესაძლებლობებზე და საკუთარი თავის შესახებ, მესამე ფაზამდე მიღწევა და იმის განცდა, რომ დამოუკიდებელ არჩევანს აკეთებს მიზნის მისაღწევად, პრაქტიკულად შეუძლებელია.

არსებობს ტერმინი career indecision და ის შეიძლება ითარგმნოს, როგორც კარიერული გაუბედაობა/გადაწყვეტილების მიღების სირთულე. ამ ფენომენს 1950 წლიდან იკვლევენ და მკლევრები მას განიხილავენ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გატი, კრაუზი, ოსიპოვი (*A Taxonomy of Difficulties in Career Decision Making*) მიიჩნევენ, რომ ამას

აქვს გარეგანი და შინაგანი მიზეზები, ერთ-ერთია მზადყოფნის ნაკლებობა, იმდენად, რამდენადაც ისინი საკმარის ინფორმაციას არ ფლობენ. ასევე, აღმოჩნდა, რომ კარიერული გადაწყვეტილების მიღების სირთულე დაკავშირებულია კარიერულ შფოთვასთან. ცხადია, რომ საგანმანათლებლო სისტემა, მშობლების მოლოდინები, სოციალური და საგანამანთლებლო შესაძლებლობების სიმცირე, საგამოცდო სისტემა და საკუთარ თავში გაურკვევლობა ზრდის მოსწავლეებში შფოთვის დონეს. კოგნიტური გადამუშავების თეორიას თუ დავეყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთ დროს მოსწავლის თვითშეფასების და თვითეფექტიანობის ზრდაზე უნდა მოხდეს მუშაობა, ასევე ისინი უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი ინფორმაციით პროფესიულ შესაძლებლობებზე. გამომდინარე იქიდან, რომ შფოთვამ შესაძლოა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე უარყოფითად იმოქმედოს, აუცილებელია, მოსწავლეებს დაეხმაროს სკოლის ფსიქოლოგი, კარიერული მრჩეველი, რათა გაადვილდეს გადაწყვეტილების მიღება.

რამდენჯერმე ვახსენე კარიერული დაგეგმარება, თუმცა საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რა მიზნებს ისახავს ის და რა ფორმით შეიძლება მისი სასწავლო დაწესებულებებში დანერგვა. კარიერული დაგეგმარება, კონსულტაცია და ინფორმაცია ეხმარება სამი ძირითადი მიზნის მიღწევას: 1) უწყვეტი სწავლების მიზნები, რაც მოიაზრებს ადრეულ ასაკში სკოლის მიტოვების შემცირებას და ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნას. 2) შრომის ბაზრის შედეგები, რაც გულისხმობს ბალანსის შენარჩუნებას სამუშაო ძალაზე მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. 3) სოციალური სამართლიანობის და სოციალური ინკლუზიის მიზნები, რომელსაც ეკისრება მარგინალიზებული და რისკის ჯგუფების განათლების, გადამზადების და დასაქმების სფეროში რეინტეგრაციის ხელშეწყობა (აკოკი, *op. cit.*).

კარიერული დაგეგმარების ინტერვენციები, ინდივიდუალური თუ ჯგუფური, შესაძლოა, მიწოდებული იყოს სხვადასხვა მოდელის ან ჰიბრიდული მოდელის გზით. კურიკულუმის მოდელი გულისხმობს, რომ კარიერული დაგეგმარება მიეწოდება სავალდებულო საგნის ფორმით, როგორიცაა კარიერული განათლება ან მსგავსი საგანი. ის შესაძლოა ასევე იყოს ნებისმიერი სხვა საგნების სავალდებულო ნაწილი და ა.შ. კარიერულ საათებს სკოლაში აქვს ჯგუფური და ინდივიდუალური ხასიათი. ცენტრული მოდელი კი გულისხმობს სერვისის მიწოდებას სკოლის/უნივერისიტეტს გარეთ, კონკრეტულ ცენტრებში (განათლების ცენტრი, კერძო პროვაიდერები, უმუშევართა ცენტრი დასაქმების საჯარო სამსახურებში). ვირტუალური მოდელის დროს იქმნება ვებ-გვერდები და ინტერნეტზე დაფუძნებული ინტერაქტიული მექანიზმები კარიერული დაგემარების სერვისის მისაწოდებლად. ამ უკანასკნელ

მოდელს ეფექტურად იყენებენ დანიაში. ელექტორნული კონსულტაცია უზრუნველყოფს ინდივიდუალურ და პერსონალურ კონსულტაციებს ყველა მოქალაქისთვის სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით: ჩატი, ტელეფონი, ელ. ფოსტა, ფეისბუკი და სხვა. როგორც სახელმძღვანელოში ვკითხულობთ, ეს გამიზნულია განსაკუთებით საზრიანი ახალგაზრდებისთვის და მათი მშობლებისთვის, რათა მათ გაუადვილდეთ წვდომა დამოუკიდებელ ინფორმაციასა და კონსულტაციებზე და ამით გაიზარდოს ახალგაზრდების მოტივაცია და ძიების პროცესი დამოუკიდებლად გააგრძელონ. ცენტრული მოდელის მაგალითად კი შეგვიძლია განვიხილოთ დასაქმების ექსპოზიცია მალტაში. ეს არის ეროვნული პროექტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები (14-15) ერთი კვირის განმავლობაში იგზავნებიან სხვადასხვა დაწესებულებებში სამუშაოდ, ეს იქნება ფინანსური, ჯანდაცვის სექტორი, ასევე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორი. მათთვის ასევე მზადდება ყოველკვირეული ელექტრონული გაკვეთილები (*Ibid.*).

იდეალური მაგალითების მპხმობით ჩემი მიზანი იყო, ხაზი გამესვა იმ შესაძლებლობებისთვის, რომლებიც აქვთ სკოლას და სამინისტროებს, რათა გაფართოვდეს მოსწავლეების ცნობიერება კარიერულ შესაძლებლობებზე და მიიღონ გააზრებული გადაწყვეტილება. მიმაჩნია, რომ კარიერული თვითშეგნების ამაღლების აქტივობები, რომელებსაც სკოლები მეტ-ნაკლები სიხშირით ახორციელებენ, უნდა შეიცვალოს უფრო მრავალფეროვანი აქტივობებით. კარიერულ დღეებს და მოწვეულ სპიკერებს, რომელებიც სტანდარტულია ბევრ სკოლაში, მოსწავლეების მხრიდან ნაკლები დაინტერესება მოჰყვება, მათ ასევე არ აქვთ ემპათია და არ იზიარებენ იმ ადამიანების მონაყოლს, რომლებიც არ არიან მათი საზოგადოების წევრები.

საინტერესოა ამერიკის სკოლის კონსულტირების ასოციაციის მიერ ჩატარებული ლონგიტიდური კვლევების შეჯამება იმასთან დაკავშირებით, რამდენად დიდი გავლენა ჰქონდა მოსწავლეთა ცხოვრებაში სკოლის მრჩეველს. ქოლევას (in Robinson, *Couunselors, Inromation, and High School College-Going Culture*) მიერ ჩატარებული ლონგიტიდური კვლევის შედეგებიდან ვიგებთ, რომ აფრიკელ-ამერიკელი კერძო სკოლის სტუდენტების ცხოვრებაში, სკოლის მრჩეველი იყო ყველაზე ავტორიტეტული პიროვნება, როდესაც მიიღეს გადაწყვეტილება კოლეჯში ჩაბარებაზე. ბელასკოს (*Ibid.*) მონაცემებით, დაბალი სოციალური ოჯახების წარმომადგენელი სტუდენტებისათვის მრჩეველთან შეხვედრები მე-10, მე-12 კლასებში ძალიან დიდი სარგებლის მომტანი იყო. სკოლის კონსულტირების ინსტიტუტი ეხმარება სტუდენტებს არა მხოლოდ სწორი კარიერული

არჩევანის გაკეთებაში, არამედ ისეთ ქვეყნებში და სოციუმში, სადაც უნივერსიტეტების თუ კოლეჯების კულტურა არ არის, მათი როლი იზრდება. რობინსონმა და როქსანამ (*Ibid.*) თავიან კვლევაში აღმოაჩინეს, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც კონსულტირებას გადიოდნენ მე-10 კლასებში, უფრო ხშირად იღებდნენ გადაწყვეტილებას სწავლის უმაღლეს სასწავლებლებში გაგრძელებასთან დაკავშირებით.

ამერიკის განათლების დეპარტამენტის მიერ ქვეყნდება სტატისტიკური მონაცემების იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინა სკოლის მრჩეველთან კონსულტირებამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სტუდენტების ცხოვრებაში: 3,2-ჯერ მეტად იყვნენ მოტივირებული კოლეჯში სწავლის გაგრძელების თაობაზე, 2-ჯერ მეტად ესწრებოდნენ ბაკალავრიატის პროგრამებს. სხვა ფაქტორები, რომლებმაც ხელი შუეწყო მათ ჩართულობას უმაღლეს სასწავლებელში, იყო: მე-9 კლასში სკოლის მრჩეველთან საუბარი მომავალ პროფესიებზე, მშობლების საუბარი მე-11 კლასში კოლეჯების შესახებ, კოლეჯისთვის მოსამზადებელ პროგრამებში მონაწილეობა სკოლის გარეთ და მეგობრების მიზნებთან თანხვედრა უნივერსიტეტში ჩაბარებასთან დაკავშრებით. მსგავსი კვლევების ანალიზი კი კიდევ ერთხელ ცხადყოფს კარიერული განვითარების პროგრამების მნიშვნელობას და მრჩევლის როლს სკოლის ბაზაზე ფართო პერსპექტივაში.

კონფერენციაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ სამსახურეობრივ კმაყოფილებას მხოლოდ ერთი ფაქტორი არ განაპირობებს, ამიტომაც, როცა ვსაუბრობთ პროფესიის სიყვარულზე და ინტერესზე, შესაძლოა, ეს საკმარისი არ იყოს. ცხადია, პროფესიული არჩევანის გაკეთებისას ადამიანი, შესაძლოა, ფულად სარგებელს ანიჭებდეს უპირატესობას, ან კარიერულ აღიარებას, პრესტიჟს, მაგრამ ეს არ გამორიცხვას იმ ფაქტს, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს ინფორმაცია საკუთარ თავზე. როგორც ზემოთ ვნახეთ, კარიერული შფოთვა და გაურკვევლობა, ძირითადად, განპირობებულია კონფლიქტით საკუთარ ინტერესებსა და გარემო მოლოდინებს შორის, მაგრამ როცა ადამიანი სახავს პრიორიტეტებს, ეს ნიშნავს, რომ მას უკვე გაცნობიერებული აქვს გადაწყვეტილება. კარიერის განვითარების ერთ-ერთი ცნობილი თეორიტიკოსი სუპერი, გვთავაზობს მოსაზრებას, რომ ადამიანის საერთო განვითარება არ უნდა განვიხილოთ კარიერის განვითარებისგან განყენებულად, რადგან ეს ცნებები ერთმანეთის გარეშე არ დგება, უფრო ზუსტად, მე-კონცეფციის იდენტიფიცირება და საკუთარი თავის შესწავლა, მჭიდროდ არის დაკავშირებული კარიერის წარმატებით კონსტრუირებასთან. თავის კვლევაში ის მიმოიხილავს ადამიანის კარიერული განვითარების ოთხ საფეხურს, პირველი, როცა ადამიანი იწყებს სასურველი პროფესის ძიებას, რასაც მოჰყვება პროფესიული სიმწიფე, რაც არის ტრანზიცია

მე-კონცეპტსა და პროფესიულ მე-კონცეპტს შორის, და საბოლოო ფაზა არის თვითონ კარიერა (Super in Gati et al., *A Taxonomy of Difficulties in Career Decision Making*). არაერთი კვლევა, რომელიც დაფუძნებულია მის თეორიაზე, ცხადყოფს, რომ მე-კონცეპტს და კარიერულ ცნობიერებას (Career awareness) შორის არსებობს პოზიტიური კორელაცია, რაც ნიშნავს, იმას, რომ სწორ კარიერულ არჩევანს განსაზღვრავს საკუთარ თავზე ნათელი წარმოდგენები.

კონფერენციის თემაზე მუშაობისას, ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ამ თემების ირგვლივ ქართულ უნივერსიტეტებში თუ სკოლის ბაზაზე არ არსებობს ბევრი კვლევა, რომელიც ამ საკითხებით დაინტერესებულ ადამიანებს პრობლემის ღრმა ანალიზის საშუალებას მისცემს. ვფიქრობ, ეროვნულ დონეზე უნდა არსებობდეს კვლევები იმასთან დაკავშირებით, თუ რაზე დაყრდნობით ირჩევენ ახალგაზრდები პროფესიას, რამდენად ინფორმირეუბული და გააზრებულია მათი არჩევანი, არიან თუ არა საკუთარი თავის შემეცნების პროცესში. ასევე რამდენად ხშირად იცვლიან ისინი პირველად პროფესიას, განიცდიან თუ არა გარეგანი ფაქტორების ზეგავლენას პროფესიის არჩევის დროს. აქვე, უმნიშვნელოვანესია, განისაზღვროს სკოლის როლი, რა სჭირდება სკოლას რომ უზრუნველყოს მოსწავლე კარიერული ცოდნით, რა სჭირდებათ მოსწავლეებს, რომ გაიზარდოს მათი თვითეფექტიანობის წყაროები და ა.შ.

პროფესიის არჩევა მრავალსაფეხუროვანი პროცესია, რომელიც კავშირშია ადამიანის პიროვნულ მახასიათებელთან, ინტერესებთან, ღირებულებებთან და გამოცდილებასთან. ზემოთ განხილულმა კვლევებმა ცხადყო, რომ სკოლაში მიღებული გამოცდილება ეხმარება მოსწავლეს, იყოს დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში და მიიღოს გააზრებული არჩევანი. მთავარი გამოწვევა, რომლის წინაშეც დგას სკოლა, არის ის, რომ მათი სჭირდებათ უფრო მრავალფეროვანი კურიკულუმები და კარგად შემუშავებული კარიერული გზამკვლევი. ამასთანავე, უნდა გამყარდეს კავშირი ფორმალური და არაფორმალური განათლების სახეებს შორის, რათა მოსწავლეს ჰქონდეს სხვადასხვა დონზე, სხვადასხვა გარემოში საკუთარი შესაძლებლობების შესაწავლის და გამოვლენის საშულება. კარიერული ცნობიერების ასამაღლებლად მოსწავლეებს, ისევე როგორც მშობლებს, უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია შესაძლებლობებზე. ეს გაზრდის მოსწავლეების წარმატებით გადასვლას საშუალო საფეხურიდან უმაღლეს საფეხურზე და მათი არჩევანი გააზრებული იქნება, რაც შეამცირებს ფორმალური განათლების გაუფასურების პრობლემას. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლის კარიერული შესაძლებლობები არ შეიზღუდოს ლიმიტირებული და არაობიექტური გამოცდილებებით, რასაც მას გარემო სთავაზობს.

იმისათვის, რომ თვითეფექტიანობის განცდა გავზარდოთ და მოსწავლეს ჰქონდეს მოსალოდნელი შედეგების რწმენა, უნდა გავზარდოთ ფუნდამენტური შესაძლებლობების მიღწევები, ეს კი ყველაზე ეფექტურად სკოლის საშუალო და უმაღლეს საფეხურზეა შესაძლებელი.

ბიბლიოგრაფია

Akosah-Twumasi, Peter, Emeto, Theophilius I., Lindsay, Daniel, Tsey, Kompla and Malau-Aduli, Bunmi S., *A systematic Review of Factors that Influence Youth career choices – the Role of Culture,* Australia, *2018.*

Career Indecision and Career Anxiety in High School Students: An Investigation through Structural Equation Modelling Retrieved from:

http://ejer.com.tr/en/archives/2018-issue-78-480/career-indecision-and-career-anxiety-in-high-school-students-an-investigation-through-structural-eq/ (ნახვა 10 ივნისი, 2019).

Dozier, Casey, Lenz, Janet, Osborn, Debra, Peterson, Gary, Reardon, Bob, Sampson, Jim, *Applying Cognitive Information Processing Theory to Career Problem Solvin&Decision Making,* Florida State University, 2016.

Effectiveness of school counseling, American counseling organization, 2007. https://wvde.state.wv.us/counselors/administrators/Effectiveness+of+School+Counseling.pdf (ნახვა 10 ივნისი, 2019).

Eriksson, Helena, Högdin, Sara, Isaksson, Anna, Education and Career Choices: *How the School Can Support Young People to Develop Knowledge and Decision-making Skills,* Halmstad University, Sweden, 2018.

Galliott, Natal'ya, Graham, Linda J., *School based experiences as contributors to career decision-making: findings from a cross-sectional survey of high-school students,* Australian Educational Researcher, 42(2), p. 179-199, 2015.

Germeijs, Veerle, De Boeck, Paul, *Career indecision: Three factors from decision theory,* Department of Psychology, Catholic University Leuven, Belgium, 2001.

SCCT- social cognitive career theory Retrieved from:

http://career.iresearchnet.com/career-development/social-cognitive-career-theory/ (ნახვა 10 ივნისი, 2019).

Shimomura, Hideo, Muroyama, Hqrumi,*Youth career Development Support at School and Career Development: For Cooperation between Career Education and Labor Administration*, the Japan institute for Labour Policy and Training, 2003.

აკოკი, ფოსუნ, *კარიერის დაგეგმვის სახელმძღვანელო,* თბილისი, 2015.

ამაშუკელი, მარიამ, ლეჟავა, დიანა, გუგუშვილი, ნინო, *განათლების ამონაგები, დასაქმების ბაზარი და შრომითი კმაყოფილება საქართველოში,* თბილისი, 2017.

საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თბილისი, 2018.